

შპს ლეკა

ს/კ 406053773

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-20

ხელმძღვანელობა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	7	3459	4324
არამატერიალური აქტივები		0	0
გაცემული სესხები	11	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		3459	4324
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	8	1856457	1793032
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	44816	34682
საგადასახადო აქტივი			
ფული და ფულის ექვივალენტები	10	19549	13411
სულ მიმდინარე აქტივები		1920822	1841125
სულ აქტივები		1924281	1845449
<i>კაპიტალი</i>			
საწესდებო კაპიტალი	12	28000-	60886-
გაუნაწილებელი მოგება		1644859	1250706
სულ კაპიტალი		1891859	1311592
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
გრძელვადიანი სესხები	13		
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან	15		
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სხვა ვალდებულებები	13	849	8396
ვალდებულება ფინანსური იჯარიდან	15	11226	9986
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	20347	515475
სულ მიმდინარე ვალდებულებები		32422	533857
სულ ვალდებულებები		32422	533857
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1924281	1845449

* ზოგიერთი ნაწევნი თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირების შემდეგ იხ. შენიშვნა 6

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი



ბუღალტერი დირექტორი



30 ნოემბრი 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს ლეკა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის დეკემბერი


სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერი

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	გადაანგარიშებული* 31 დეკემბერი 2021
შემოსავალი	16	4295195	4747857
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	17	(3727233)	(4050849)
საერთო მოგება/(ზარალი)		567962	697008
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(229617)	(223663)
სხვა შემოსავალი	19		
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		338345	473345
ფინანსური შემოსავალი	11	0	0
ფინანსური ხარჯი	13	(0)	(0)
ზარალი საკუროს სხვაობიდან		(0)	(0)
არასაოპერაციო ხარჯები		(0)	(0)
არასაოპერაციო შემოსავლები	20	58469	(4529)
მოგება დაბეგრამდე		396814	468816
მოგების გადასახადი		-	-
გადავადებული გადასახადის სარგებელი	21	-	-
წლის წმინდა მოგება		396814	468816


* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 6

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი



ბუღალტერი



30 ნოემბერი 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2022	0	0	0
მოგება წლის განმავლობაში	-	0	0
კაპიტალის ცვლილება	(0)	-	(0)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	-	0	0
მოგება წლის განმავლობაში		396814	468816
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი		(0)	(0)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	-	396814	468816

ხელმოწერი პირები:

დირექტორი



ბუღალტერი დირექტორი



30 ნოემბერი 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები 9-22 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს ლეკა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის დეკემბერი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „LEKA“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/ნ 406053773), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2011 წლის 29 აგვისტოდან, საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, კოსმონავტების სასაპირო #25

დაფუძნების დღიდან კომპანიის 100% წილის მფლობელია ლევანი პეტროსიანი.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს კომპანიის დირექტორი - ლევანი პეტროსიანი.

შპს „LEKA“ ეწევა საბითუმო და სავალო ვაჭრობას სანტექნიკური მოწყობილობების, კერძოდ უნიტაჟები, ხელსაბანები, სამზარეულოს ნიჟარები, აბაზანის აქსესუარები. ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი - 46733

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაწერილია ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაყვანილია ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა ასახულია მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-21	31-დეკ-22
1 USD/GEL	3.0976	2.702
1 EUR/GEL	3.504	2.8287

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

3. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებულია გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხულია მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგენილია შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

შპს ლეკა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის დეკემბერი

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოთვლილია წრფივი მეთოდით, მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება ხდება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

ავეჯი და ინვენტარი

5

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილე მხარე. სესხების აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

შპს ლეკა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის დეკემბერი

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო ვალდებულებების წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საწარმო ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით.

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

შპს ლეკა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის დეკემბერი

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ზონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე, შეფასებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

6. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სამშენებლო იარაღები	ჯამი
<i>ისტორიული ღირებულება</i>					
2022 წლის 31 დეკემბერი		3459			3459
<i>დაგროვილი ცვლადი</i>					
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
2022 წლის 31 დეკემბერი	0	3459	0	0	3459

შპს ლეკა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის დეკემბერი

7. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-22
დაუმთავრებელი წარმოება	0
ნედლეული და მასალები	
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1856457
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	1856457

2022 წლის განმავლობაში 3727233 ლარის ღირებულების მარაგები გაიხარჯა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით ჩამოიწერა თვითღირებულებაში.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-22
სავაჭრო მოთხოვნები	44816
გაცემული ავანსები	0
სხვა მოთხოვნები	0
თანხები დაკავშირებული მხარეებისაგან	-
გამოკლებული გაუფასურების ანარიცხები	0
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	44816

9. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-20
თანხა ბანკში	17525
თანხა სალაროში	805
ფულიბანკშიუცხოურვალუტაში	1219
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	19549

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2022
მიღებული ავანსები	-
სავაჭრო ვალდებულებები	31573
საგადასახადო და სხვა ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ	0
სხვა ვალდებულებები	849
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	32422

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;

შპს ლეკა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2022 წლის დეკემბერი

- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

11. შემოსავალი

შემოსავალი	2022
შემოსავალი	4295195
სულ შემოსავალი	4295195

12. თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი	2022
მასალის ხარჯი	3727233
ხელფასი	
მომსახურებები	
ცვეთა და ამორტიზაცია	
იჯარა ხარჯი	
სხვა ხარჯები	
სულ თვითღირებულება	3727233

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022
ხელფასები	96949
იჯარის ხარჯი	104434
ამორტიზაცია	-
სხვა ხარჯები	28234
სხვა საგადასახადო ხარჯები	0
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	229617

14. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს კომპანიის

შპს ლეკა

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის დეკემბერი

მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არარსებობა არ დაფიქსირებულა (2022 წლის 31 დეკემბერი: არანაირი ვალდებულება).

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წლის 31 დეკემბერი მდგომარეობით: ნოლი).

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.